მთლიანი აქტივები		1,265,537	603,524
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,073,345	463,654
საგადასახადო ვალდებულებები		-	31,284
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-
		1,073,345	494,938
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	834	883
		834	883
მთლიანი ვალდებულებები		1,074,179	495,821
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		191,358	107,703
		191,358	107,703
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,265,537	603,524

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 4

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	12	3,299,043	2,656,439
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,585,796)	(2,322,583)
საერთო მოგება		713,246	333,856
სხვა შემოსავლები	13	47,375	38,331
საპროცენტო შემოსავალი		499	-
საპროცენტო ხარჯი		(94)	(4,048)
მიწოდების დანახარჯები	14	(7,863)	(2,137)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(667,784)	(466,311)
სხვა ხარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	-
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან	16	(1,725)	(23,288)
საოპერაციო მოგება		83,655	(123,597)
ფინანსური ხარჯი		-	-
მოგება დაბეგვრამდე		83,655	(123,597)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		83,655	(123,597)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 5

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019	-	231,300	231,300
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	(123,597)	(123,597)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2020	-	107,703	107,703
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	83,655	83,655
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 31.12.2021	-	191,358	191,358

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 6

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სინტაქსი“ (შემდგომში საწარმო) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2015 წლის 31 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., N3, კორ. 19, ბ. 49

კომპანიის პარტნიორები არიან: ფიზიკური პირი ზაზა ჯაველიძე (33001026049) - 50%, ფიზიკური პირი გიორგი მაჭავარიანი (01024040302) - 50%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობას პროგრამული უზრუნველყოფით, კომპიუტერებით და კომპიუტერული პერიფერიული მოწყობილობებით.

-კომპანია ფლობს 20% წილს შპს“ლიდი“-ში 2021 წლის 27 დეკემბრის პერიოდიდან.

საწარმოს სტრუქტურა:

_ადმინისტრაციული განყოფილება;

_ბუღალტერია;

_გაყიდვების განყოფილება;

_პროექტების განყოფილება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს). იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად კომპანია სარგებლობს შედგავით და არ წარადგენს ფულად ნაკადებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 7

2 .მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი/ლარი	3.0976	3,2766
1 ევრო/ლარი	3,5040	4,0233

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

- პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 8

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

- მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 9

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 10

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პერიოდში, ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასავის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 7 წლის ვადით.

იჯარა

კომპანიაში არ არის ფინანსური იჯარის ოპერაციები. ჩვეულებრივი/საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებს და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება შაშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 11

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური აქტივის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი რეალიზაციის 8 დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან საბაზრო ფასის პრინციპების დაცვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეუზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წარმოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი.

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახულია სავაჭრო მოთხოვნები აღნიშნული თანხები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის მიხედვით.

*დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.*

დირექტორი

სალომე მახარაძე 12

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახულია სავაჭრო ვალდებულებები აღნიშნული თანხები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა რასაც შეიძლება არსებითი გავლენა მოეხდინა წარმოდგენილ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3.2 მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 13

გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

3.3 ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს **დაკავშირებულ მხარეებთან**. გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	599,475	114,292
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,523	7,936
სულ	613,998	122,228

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	313,025	184,013
გაცემული ავანსები	81,450	46,408
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	100	-
სულ	394,575	230,421

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 14

შენიშვნა 6

მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	-	-
სხვა მარაგები	145	-
მარაგი	2,123	28,173
სულ	2,268	28,173

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული სხვა მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 2454 ლარი (2020 წელს 493 ლარი).

შენიშვნა 7

არამატერიალური აქტივი

31 დეკემბერი 2020	1,944
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2020	(372)
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2021	1,572
შემოსვლა	368
გასვლა	-
ამორტიზაციის ხარჯი 2021	(277)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	1,663

შენიშვნა 8

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

	31.12.2021	31.12.2020
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში შპს ლიდი (ს/კ 406184249)	17,000	-

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 15

სულ	17,000	-
-----	--------	---

შენიშვნა: 9
 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება						
31 დეკემბერი 2020	168,336	827	63,580	2,054	5,969	240,766
შემოსვლა	11,000	-	-	1,856	559	13,415
გასვლა		(827)	-	-	-	(827)
31 დეკემბერი 2021	179,336	-	63,580	3,910	6,528	253,354
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2020		-	(17,640)	(723)	(1,273)	(19,636)
პერიოდის ცვეთა	-	-	(12,702)	(518)	(1,157)	(14,377)
გაუფასურება						-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	(30,342)	(1,241)	(2,430)	(34,013)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2020	168,336	827	45,940	1,331	4,696	221,130
31 დეკემბერი 2021	179,336	-	33,238	2,669	4,098	219,341

შენიშვნა 10
 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	1,008,928	442,687
მიღებული ავანსები	64,417	20,967
გადასახდელი ხელფასი	-	-
საგადასახადო ვალდებულება		31,284
სულ	1,073,345	494,938

შენიშვნა 11
გრძელვადიანი სესხები

	12/31/2021	31/12/2020
გრძელვადიანი სესხები	834	883
სულ გრძელვადიანი სესხები	834	883
სულ სესხები	834	883

შენიშვნა 12
ამონაგები

	2021	2020
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	266,261	-
მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები	3,032,782	2,656,439
სულ	3,299,043	2,656,439

შენიშვნა 13
სხვა შემოსავლები

	2021	2020
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	3,538	1,083
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	52,484	56,324
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(8,646)	(19,076)
სულ	47,375	38,331

შენიშვნა 14
მიწოდების ხარჯები

	2021	2020
ტრანსპორტირების ხარჯი	1,690	2,137

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.
 დირექტორი

მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	6,173	-
სულ	7,863	2,137

შენიშვნა 15

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	562,767	334,446
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	14,656	14,248
ქონების გადასახადის ხარჯი	855	965
მივლინების ხარჯი	-	411
საბანკო ხარჯი	5,494	8,141
დასუფთავების ხარჯი	1,775	1,502
დაზღვევის ხარჯი	2,196	2,633
კომუნიკაციის ხარჯი	1,625	2,332
სამეურნეო ხარჯი	1,651	183
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	9,171	-
საკანცელარიო ხარჯი	804	310
იჯარის ხარჯი	15,805	17,252
საექსპლუატაციო ხარჯები	-	-
ძირითადი საშუალებების რემონტი	827	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	50,159	83,888
სულ	667,784	466,311

შენიშვნა 16

მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან

	2021	2020
შემოსავალი კურსთაშორისი სხვაობიდან	45,368	107,555
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(47,094)	(130,843)
	-	-
სულ	(1,725)	(23,288)

შენიშვნა 17

დაკავშირებულ მხარეთან ოპერაციები

ჩვეულებრივი იჯარა- კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი დაკავშირებულ მხარისგან საბაზრო ფასით.

ასევე 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა რეალიზაციის და შესყიდვის მოქმედებები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		31,213	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		8588	11
სულ		12,465	11

სრული შემოსავლის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარე	2021	2020
იჯარის ხარჯი		15,455	15,068
გაყიდული საქონლის/გაწეული მომსახურების თვითღირებულება		28,037	
ამონაგები		28,695	
სულ		72,187	15,068

18.დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2021	2020
შრომის ანაზღაურება მთლიანად	149,343	95,837
სულ	149,343	95,837

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ გააჩნია ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.

აქტივების გაუფასურება

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის
 სახელით 2022 წლის 03 ოქტომბერს.

დირექტორი

სალომე მახარაძე 19

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიაში აქტივების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

19. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2021 წელს, საწარმომ აღმოაჩინა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამორჩენილი იყო ქონების გადასახადის ხარჯის დარიცხვა, რაც შეადგენს 965 ლარს. აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2020 წლის შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა. აღნიშნული გატარების გამორჩენამ გამოიწვია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულების 965 ლარით გაზრდა, რამაც თავისი მხრიდან გამოიწვია 2020 წლის ადმინისტრაციული ხარჯის გაზრდა 965 ლარით და შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემცირება საკუთარი კაპიტალის პერიოდის ბოლოსთვის 965 ლარით. იყო 108 668 ლარი და გახდა 107 703 ლარი. ასევე 2021 წლის ანგარიშგების შევსებისას საქმიანობის შედეგებში შეიცვალა 2020 წლის მუხლები მხოლოდ თავისი შინაარსით, რამაც თავისი მხრიდან არ მოახდინა ცვლილება 2020 წლის მოგება/ზარალზე.

გარდა ამისა იმის გამო რომ 2020 წელში არ იყო გამოყოფილი მიღებული და გაცემული ავანსები შეიცვალა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თანხა, რომელიც გახდა 184 013 ლარი, გაცემული ავანსების თანხა გაიზარდა და გახდა 46 408. ასევე სავაჭრო ვალდებულებების თანხა გაიზარდა და გახდა 442 687 ლარი და დაემატა სხვა ვალდებულებები სადაც მითითებულია მიღებული ავანსები - 20 967 ლარი.

ასევე უნიშვნელოდ შეიცვალა საგადასახადო ვალდებულებების თანხა იყო 36 441 ლარი და გახდა 31 284. მზა პროდუქციის თანხა იყო 28 308 გახდა 28 173.